

**წმ. იოვანე ოქროპირის  
საკითხავი „წმიდისა ჟამისწირვისათჳს“  
და მისი ძველი ქართული თარგმანი**

**ეპქთიმიე კოჭლამაზაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**შესავალი**

ათონის ქართველთა მონასტრის №25 ხელნაწერში ასკეტიკურ და პანეგირიკულ საკითხავთა შორის ჩართულია ჟამისწირვის განმარტების შემცველი ერთი მოძცრო საკითხავი („წმიდისა ჟამისწირვისათჳს“), რომლის ავტორად გამოცხადებულია წმ. იოანე ოქროპირი.<sup>1</sup> კ. კეკელიძის კატალოგში ეს თხზულება იოანე ოქროპირის ზნეობრივ თემებზე წარმოთქმულ სიტყვათა შორისაა მოიხსენიებული,<sup>2</sup> რადგანაც საკუთრივ ჟამისწირვის

---

1 აღწერილია რ. ბლეიკის მიერ: R. P. Blake, Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos: Revue de l'Orient Chrétien, 3<sup>e</sup> Série, t. IX (XXIX), № 1 et 2 (1933-1934), pp. 140-142. ათონური ასკეტიკურ-პანეგირიკული კრებულის (№ 25) უდიდესი ნაწილი უკავია წმ. სვიმეონ მესვეტის ცხოვრებას („ცხოვრება და განგება ნეტარისა მამისა ჩუენისა სუმეონისი, რომელი დამკვდრებულ იყო მთასა საკურველსა, სანახებსა ანტიოქი[ი]სასა და ბრწყინვიდა ვითარცა მთიები თავსა ზედა სუეტისასა“, 1v-139v). აქვეა წმ. იოანე ოქროპირის შვიდი საკითხავი (მეორედ მოსლვისათჳს უფლისა 139v-148r; სინანულისათჳს და ქალწულებისათჳს და მოთმინებისათჳს 148r-175r; ელია წინამწარმეტყუელისათჳს 175v-183r; დაფულებისათჳს 193r-195v; საკითხავი მღვდელთმოდღუართაჲ, ოდესცა გინდეს 214r-218r; თავთა მათ მოციქულთათჳს, პეტრესა და პავლესა, ქებაჲ მათ [ორთათჳს] 218r-221v; და ზემოხსენებული „წმიდისა ჟამისწირვისათჳს“); წმ. ეფრემ ასურის სამი საკითხავი (სინანულისათჳს 221v-227r; საშჯელისათჳს და სიყვარულისათჳს და სინანულისა 227r-230v; გულისთქუმისათჳს 230v-233r) და ერთი საკითხავი წმ. კირილე ალექსანდრიელისა (სინანულისათჳს 195v-214r).

2 კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან V, თბ., 1957, 82.

განმარტებასთან ერთად მასში დიდი ადგილი ეთმობა მსჯელობას ცოდვის ნაისახეობათა შესახებ (მკვლელობა, მრუშება, პარკა, სიძვა, ტყუილი, ძვირისზრახვა, მეგახშეობა, შური).

ბერძნულ ენაზე ამ თხზულების დედანი ჯერჯერობით ცნობილი არაა, ამიტომაც ქართული თარგმანი დედნის ღირებულებას იძენს. ქართულადაც, სამწუხაროდ, ერთადერთი ათონური ხელნაწერით გვაქვს ეს თხზულება შემორჩენილი, და, ტექსტის ბუნდოვანების შემთხვევაში, რაც გადაწერისას დაშვებულ შეცდომებს მოწმობს, ყოველთვის ვერ გვისერხდება შეცდომების გასწორება მარტოოდენ კონტექსტზე დაყრდნობით (ქვემოთ წარმოდგენილ ტექსტში შეძლებისდაგვარად შევასწორეთ გადამწერის შეცდომები, ხოლო ხელნაწერისეულ ვარიანტებს ვუთითებთ სქოლიოში).

ხელნაწერს რ. ბლეიკი X საუკუნით ათარიღებს. „წმიდისა ჟამისწირვისათვის“ საკითხავის ქართული თარგმანი კი X საუკუნეზე ბევრად უფრო ადრინდელი უნდა იყოს. ამას მოწმობს არქაიზმები საღმრთო წერილისა და ჟამისწირვის ტექსტების ციტირებაში, აგრეთვე ძველი ლიტურგიკული ტერმინოლოგია და იშვიათი ხმარების ლექსიკური არქაიზმები.

საკითხავში განმარტებული არაა ჟამისწირვის დასაწყისი ნაწილი (ე. წ. კათაკმეველთა ლიტურგია) და, მცირე შესავლის შემდეგ იწყება უშუალოდ ძღვნის კურთხევის აღწერა.<sup>3</sup> განმარტებულია ჟამისწირვის შემდეგი დეტალები: „კარნი“ (16), „მო-

<sup>3</sup> კათაკმეველთა ლიტურგია მხოლოდ გაკვრივითა მინიშნებული, როგორც ფსალმუნება: ავტორი კიცხავს ზერელე მორწმუნეთ, რომლებიც ჟამისწირვას არ უსმენენ, და თავს იმით იმართლებენ, რომ „რა ვიცით ფსალმუნება და არცა ვსცნობთ თქუმულთა მათო“ (13). მქადაგებელი მათ შეაგონებს: „და რა მათვს არა იცი ფსალმუნება და არცა სცნობთ თქუმულთა მათ? გნებავს თუ, გრქუა შენ ამისთვის, – რამეთუ ყოველადვე ჟამსა ჟამისწირვისასა ეკლესიასა გარეშე სდგა, განსცხრები და იცინი“ (14). რადგან ფსალმუნება მხოლოდ ჟამისწირვის დასაწყისში (კათაკმეველთა ლიტურგიაში) სრულდება (და მასთან ერთად სახარება-სამოციქულოს საკითხავები), ცხადია, აქ კათაკმეველთა ლიტურგია გვაქვს მინიშნებული. კათაკმეველთა ლიტურგიის სხვა საკითხავ-საგალობლებზე კი აღარაფერია ნათქვამი.

ხელეთ“ (16), „განზრახვად სარწმუნოებისად“ (16-22), „ვლგეთ კეთილად“ (23-26), „ხმცა გუაქუან გულნი“ (27-30), „ძღვეისა გალობად“ (37), „სიწმიდე“ (89), „წმიდაო ღმერთოა“ (89), „დაკვამად კართად“ (89), „განხუმად კართად“ (93-95)<sup>4</sup> და სხვ.

ქართული თარგმანის სიძველეს ააშკარავენ ციტირებანი საღმრთო წერილის უძველესი თარგმანებიდან; კერძოდ, ფსალმუნის იმ ვერსიიდან, რომელიც კრიტიკულ გამოცემაში **Რ** ლიტერითაა აღნიშნული:<sup>5</sup>

„რომელი იტყოდა მოყუსისა თუსისათჳს ძურსა, იგი გარემსგარე ვღვენე“ (ფს. 100,5).

„აღნადგინებისაგან და სიცრუვისა იქსნენ სულნი მათნი და დიდებულ იყოს სახელი მისი მათ წინაშე“ (ფს. 71,14).

„დაანთქენ იგინი, უფალო, და მიმოდაყვენ ენანი მათნი, რამეთუ ვიხილე მე ურჩულოებად და კლომად ქალაქსა შინა. დღე და ღამე გარე-მოადგა ზღუდეთა მათთა ურჩულოებად, უკეთურებად და ცოდვად შორის მათსა. არა მოაკლდა უბნებსა მათსა აღნადგინები და ზაკუვად“ (ფს. 54,10-12).

„ვეცხლი მისი მან არა მისცეს აღნადგინებად და ქრთამი უბრალოსა ზედა მან არა მოიღოს“ (ფს. 14,5).

„დაეცნენ იგინი ზრახვათა მათთაგან დიდძალითა უღმრთოებისა მათისაჲთა. განიშორენ შენ იგინი, რამეთუ გაგამწარეს შენ, უფალი“ (ფს. 5,11).

ჟამისწირვის ციტირებებიდან აღსანიშნავია:

„ყოველივე აწ სოფლისად დაუტეოთ ზრუნვად, ვითარცა მეუფისა ყოველთაჲსა შემწყნარებელთა“ (6). ესაა ფრაგმენტი „სიწმიდის“ საგალობლისა, რომელიც, იერუსალიმური საღმრთისმსახურო ტრადიციით, იგალობებოდა დიდი მარხვის კვირა-დღეებში (ყველით აღების კვირიაკიდან ბზობამდე).<sup>6</sup>

ქართული თარგმანის სიძველის ერთ-ერთ ნიშნად მიგვაჩნია

4 ციტირების გაიოლებისათვის ტექსტი დაყვავით 100 მცირე აბზაცად, და საჭირო ადგილებს ამ აბზაცების ნომრებით ვუთითებთ.

5 ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ. ზ. ე. ქალაშანიძემ, I. ტექსტი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960.

6 უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიაძემ, თბილისი, 1980. გვ. 100.

ლექსიკური არქაიზმები. ასეთია, მაგალითად, „რჩული“ და მისგან წარმოებული ფორმები – „ურჩულობაჲ“, „რჩულისმწერალი“, „რჩულისმოძღუარი“ (44, 51, 57, 59, 79, 80, 85). სხვა ლექსიკური არქაიზმი – ფაკოჲ საწყლჳ (84) საინტერესოა თავისთავადაც, და იმ კონტექსტშიც, რომელშიც იგი მოიხსენიება: „გამოვიდა ღვეწული იგი ღავით მღევარსა მას თანა მეფესა, და მოჰკუეთა შუღკეცი სამოსლისა სამეუფოჲსაჲ და ფაკოჲ საწყლჳ“ (I მეფ. 24,5). ბიბლიაში ფაკოჲ ს შესატყვისი არ მოიპოვება, და ძნელი სათქმელია, საიდან მოხვდა იგი ჩვენთვის საინტერესო საკითხავში.

ღიაკვნის სათქმელი ფრაზა, რომელიც ჟამისწირვისას წარმოითქმის უშუალოდ „მრწამსის“ უწინარეს („კარნი, კარნი, სიბრძნით მოხედეთ“), განმარტებულია ასე: „რომელთა კართა იტყვს? – ნუ ჰგონებ თუ, – ეკლესიისათა ხოლო, არამედ გულისა და სულისაცა, რადთა არა სოფლისა საქმეთა გული მიექცეს“.

გულისა და სულის კართა გახსნა და დახშვა, ლოცვის შესახებ მაცხოვრის სწავლების კონტექსტში, მინიშნებული აქვს იოანე ბოლნელს ყველით აღების ჰომილიაში, სადაც, სხვათა შორის, განმარტებულია ქრისტეს გამონათქვამი: „ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰკამ კარი შენი, და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამად შენი, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათე 6,6). ამ ფრაზას იოანე ბოლნელი განმარტავს ასე: „რადმე არს სიტყუად ესე თუ – შევედ საუნჯესა შენსა და დაჰკამ კარი შენი? არა იტყვს სენაკსა, არცა კარსა ძელისასა, არამედ იტყვს ესრეთ: შევედ გულსა შენსა და დაჰკამ პირი შენი და დაადუმენ ბაგენი შენნი და ილოცვედ გულსა შინა შენსა ფარულად, და მამად იგი შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“.<sup>7</sup>

7 მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, ა. ღამბაშიძე, მ. ჩხენკელი, ათონის მრავალთავი; იოანე ბოლნელის ქადაგებანი, თბ., 1999, 203.

იოანე ოქროპირის სახელით წარწერილ ჰომილიაშიც, სადაც ჟამისწირვისას წარმოსათქმელი „კარნი კარნი“ განმარტებული, იგი არა მარტო ეკლესიის კარად განიმარტება, არამედ „გულისა და სულისა ცა, რაფთა არა სოფლისა საქმეთა გული მიექცეს“. ვფიქრობთ, ამ ჰომილიას სხვა პარალელებიც შეიძლება მოემებნოს იოანე ბოლნელის ქადაგებებთან. ასეთია, ჩვენი აზრით, კონსტანტინოპოლის ბოლნელის რამდენიმე საკითხავსაც ახასიათებს და „წმიდისა ჟამისწირვისათვის“ იოანე ოქროპირის სახელით წარწერილ ჰომილიაშიც იჩენს თავს (კონსტანტინოპოლად ვგულისხმობთ ცალკეულ თემებზე აზრის კომპაქტურად გადმოცემას და თემების ხშირ ცვლას). ოქროპირისა და ბოლნელის ჰომილიათა პარალელურმა შესწავლამ, შესაძლოა, მათ შორის სხვა საერთო ნიშან-თვისებებიც გვაპოვნინოს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულ ჰომილეტიკურ კრებულებში ზოგჯერ აღრეულია იოანე ოქროპირისა და იოანე ბოლნელის სახელები (რის გამოც ცალკეულ ჰომილიათა ატრიბუცია გაძნელებულია),<sup>8</sup> შესაძლოა გამოითქვას ეჭვი, რომ ათონური ხელნაწერით შემორჩენილ საკითხავსა და იოანე ბოლნელის თხზულებებს უფრო მეტი საერთო ჰქონდეთ. ამ საკითხს შემდგომი კვლევა მოჰყენს ნათელს.

ამჯერად კი მკითხველს ვთავაზობთ „წმიდისა ჟამისწირვისათვის“ საკითხავის ტექსტის პირველ პუბლიკაციას Ath.25-ის მიხედვით.

8 M. van Esbroeck, Les plus anciens Homéliers géorgiens (Louvain 1975) 316-317. კლარჯული მრავალთავი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილი: „მეცნიერება“ (თბილისი 1991) 46-53, 55-56. მ. მაისურაძე და სხვ., ათონის მრავალთავი, გვ. 85-105.

თქუმული იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ<sup>1</sup>

კოსტანტინეპოლელ ოქროპირისაჲ

### წმიდისა ჟამისწირვისათჳს

1. მოვედით და ისმინეთ ჩემი, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რომელნი-ეგე ეკლესიასა ღმრთისასა შეხუალთ, და გითხრა თქუენ, რაჲთა მრავლითა კრძალულებითა აღვასრულოთ ჟამი იგი წმიდისა ჟამისწირვისაჲ.

2. შიში ღმრთისაჲ გაქუნდინ გულთა შინა თქუენტა და ნუმცა ვის ვზრახავთ კაცსა ეკლესიასა შინა ღმრთისასა, და არცაღა მეგობართა თჳსთა, დაღაცათუ მრავლით ჟამითგან არა (183v) გუეხილვოს<sup>2</sup> იგი,

3. რამეთუ ვითარცა მეფისა წინაშე დგანედ კაცნი, არა შიშით და კრძალულებით დგანედა, რაჲთა არა მეფისა მიერ ბრალი თავთა თჳსთა მოაწიონ? და ესევეითარსა სრბასა და ღუაწლსა ქუეყანისათჳს და საწუთროდსა მეფისათჳს ვჰყოფთ, რამეთუ წინაშე მეფისა არცა ძმაჲ ძმასა ჰკადრებს სიტყუად, ხოლო თუ მიუგოს, მეყსეულად რისხვითა მეფისაჲთა მოისრას.

4. რაოდენ<sup>3</sup> უფროდს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, მდგომარენი ეკლესიასა შინა ღმრთისასა ნუვინ იკადრებნ ზრახვად ვისთანამე, გარნა ხოლო ქონებად გონებაჲ ფსალმუნებასა და ლოცვასა, და ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ეკლესიასა, ვზრახავთ, ვიცინით, გუძინავს.

5. ეკლესიაჲ ცაჲ არს.

6. ისმინე და გულისკმა-ყავ, შენითა პირითა რასა იტყუ: „ყოველივე აწ სოფლისაჲ დაუტეოთ ზრუნვაჲ, ვითარცა მეუფისა ყოველთაჲსა შემწყნარებელთა“.\*

---

\* აქ ციტირებულია საგალობელი „სიწმიდისაჲ“, სახელდობრ, მისი ის ვარიანტი, რომელიც, იერუსალიმური საღმრთისმსახურო ტრადიციით, იგალობებოდა დიდი მარხვის კვირა-დღეებში (ყველით აღების კვირიაკიდან ბზობამდე). იხ. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევიძემ და ლ. ხევსურიაძემ, თბილისი, 1980. გვ. 100.

1 მთავარეპისკოპოსისაჲ A. 2 ეხილვოს A. 3 რაოდენ A.

7. მეუფისა<sup>1</sup> მეუფეთაძისა<sup>2</sup> აღვედ, კაცო, ქუეყანით ზეცად გულისთა შენითა.

8. იხილე, რაა არს, რომელსა-იგი წინააღმართმეტყუელისა მიერ გეტყვს შენ: „ნუ ჩემსა საცინელად სახლსა შეიქმთ და ვითარცა მეძვისა დედაკაცისა უშუერებასა სახილველად სახლსა ჩემსა შეიქმთ“.

9. რამეთუ მუნ, ვითარცა-იგი პირველად ვთქუთ რამე სიტყუაჲ, მგოსანთა და მროკველთა თანა და მორკინალთა განცხრომაჲ, სიმღერაჲ, და ესე უფროდსლა ტკბილად გიჩს და ეკლესიასა ღმრთისასა შეურაცხ-ჰყოფთ;

10. ხოლო რომელთა გნებავს ცხორებაჲ, თანა-გაც სიწმიდით ღუმილი. და ნუ თანა-წარჰკდით ჟამსა ზეცისასა და მიიქცევით საზრახავსა (184r) და შეიპყრობვით ეშმაკისა მიერ ყოვლით-კერძო,

11. და არა უწყით, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რამეთუ არა სიცრუვით მოაწევს ღმერთი რისხვასა ჩუენ ზედა? – არამედ მათ ზედაცა,<sup>3</sup> რომელნი არა შეჰრისხდებიან მათ მღღელნი და მწყემსნი.

12. და რომელნი-იგი მღღელთა მიერ ისწავებიან და არა უსმენენ, ესენი<sup>4</sup> განგდებად წმიდისაგან ღმრთისა ეკლესიისა და ექუსლორობად, რამეთუ ღიდ არს ცოდვაჲ მათი.

13. ხოლო იგინი იტყვან: არა ვიცით ფსალმუნებაჲ და არცა ვსცნობთ თქუმულთა მათო.

14. და რადასათუს არა იცი ფსალმუნებაჲ და არცა სცნობთ თქუმულთა მათ? გნებავს თუ, გრქუა შენ ამისთუს, – რამეთუ ყოვლადვე ჟამსა ჟამისწირვისასა ეკლესიასა გარეშე სდგა, განსცხრები და იცინი.

15. მერმე დიაკონი იტყვს: „კარნი“.

რომელთა კართა იტყვს? – ნუ ჰგონებ თუ, – ეკლესიისათა ხოლო, არამედ გულისა და სულისაცა, რადთა არა სოფლისა საქმეთა გული მიექცეს.

1 მეუფესა A. 2 მეუფეთასა A. 3 მათ ზედაცა ] მათსაცა A. 4 ესე A.

16. მოვედ კუალად განზრახვასა სარწმუნოებისასა. დიაკონი იტყვს: „მოხედეთ“, რაათა მიხედნეთ თქუმულთა მათ სიტყუათა ჩუენ მიერ, რამეთუ ვიტყვთ:

17. „მრწამს ერთი ღმერთი, მამაჲ ყოვლისა-მპყრობელი, შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანისაჲ, ხილულთა ყოველთაჲ და არახილულთაჲ,

18. და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ მხოლოდ-შობილი, რომელი მამისაგან იშვა პირველ ყოველთა საუკუნეთა, რომლისაგან ყოველივე შეიქმნა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და უფსკრულთა შინა,

19. და სული წმიდაჲ, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი ცხოველს-ჰყოფს ყოველთა, რომელი იტყოდა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ, და (v) ერთი, წმიდაჲ, კათოლიკე ეკლესიაჲ.

20. და რაჲსათჳს წმიდაჲ? – რამეთუ ღმერთი დამკვდრებულ არს მას შინა.

21. და რაჲსათჳს კათოლიკე? – რამეთუ ყოველთა წარმართთა, რომელთა ჰრწამს და ნათელ-იღებენ, ეკლესიაჲ ღმრთისაჲ შეიწყნარებს, რამეთუ თავადი ქრისტე იტყვს, ვითარმედ: „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე“, (1)

22. ხოლო ვიეთნიმე იტყვან, ვითარმედ: მკუდარნი არა აღდგებიანო. და ვითარ ვიტყვთ, რომელთა ქრისტს მძმართ გურწამს, – „აღვიარებთ ერთსა ნათლისღებასა მოსატევეებლად ცოდვათა, მოველით აღდგომასა მკუდართასა და ცხორებასა მერმესა საუკუნესა“? უკუეთუ მკუდარნი არა აღდგებიან, ვითარ მოველით ცხორებასა მერმესა საუკუნესა? (2)

23. და მერმე ამისა შემდგომად იტყვს დიაკონი: „ვდგეთ კეთილად“. რაჲ არს „ვდგეთ კეთილად“? ნუ დგომასა ფერკთასა იტყვსა? – არამედ: ნუ შინა ფერკნი და გარე გულისსიტყუაჲ; ნუ შინა ფერკნი და გარე გონებაჲ, – პირუტყუთათჳს და ყანათა და ვენაკთა და სხუათა სოფლისა-საქმეთა.

24. „ვდგეთ შიშით“. რაჲ არს „ვდგეთ შიშით“? – ესე

(1) იოვანე 6,27. (2) შლრ. I კორ. 15,15-17.



არს ყოვლითა ღმრთისმეტყველებითა წარდგომა<sup>1</sup> წმიდასა ჟამისწირვასა.

25. „მოხედეთ წმიდასა ამას შესაწირავსა“ რომელ გესმოდეს, ყოვლითა გულითა, რომელ<sup>2</sup> ითქუმის მღვდლისა მიერ და დიაკონისა.

26. რად არს „მშუღობით შეწირულსა“, და ვითარ აღუთქუამთ<sup>3</sup> ღმერთსა მღვდლისა მიერ მშუღობაჲ ქონებად ყოველთა თანა? – მსხუერპლი ქებისად რად<sup>4</sup> შეიწი(185r)როს ღმერთმან, წინამდებარე იგი მსხუერპლი წმიდასა ზედა ტრაპეზსა, დიდებისმეტყველებითა გულისა შენისაჲთა და ბაგეთა შენთაჲთა.

27. და მერმე მღვდელი იტყვს: „ზემცა გუაქუსან გულნი“, და აღუთქუამთ<sup>5</sup> და ვიტყვთ: „გუაქუს უფლისა მიმართ“. უკუეთუ უფლისა მიმართ გუაქუს, წყალობასა მისსა ვესავთ, და ვითარ ვიეთნიმე ჩუენგანნი იტყვან, ვითარმედ: „მრავალთა ჩემთა საქმეთაგან მოვიგე სიმდიდრე“?

28. და არა უწყიან ნიჭი იგი ღმრთისაჲ, რომელი მოანიჭებს თითოეულთა საზრდელსა და საფარველსა სამოსელსა. მოიღის ღმერთმან იეფობაჲ ნაშრომთაჲ და მუშაკი იხარებს. მოვიდა ნაკლულევანებაჲ და მუშაკი შეწუნა, ვითარცა ვერ-შემძლებელი ღმერთი გამოზრდად საქმესა კელთა მისთასა, ნუუკუე იეფობაჲ კაცთა მიზეზისაგან არს!

29. ყოველთა ადგილთა ნიჭი ღმრთისაჲ მდიდრად არს, რამეთუ მუშაკისა იეფობაჲ სიმრთელე მისი არს და უღელთა მისთა სიმრთელს. ხოლო უკუეთუ მიუხუნეს ღმერთმან უღელნი მისნი კარნი, მისცეს ნაყოფი და იყიდნეს უღელნი კარნი და მოაკლდა მუშაკსა ნაყოფი.

30. ეგრევე მკედარსა მოაკლდების საფასს სიკუდილითა პირუტყვსა<sup>6</sup> მისისაჲთა. და ვაჭარნი ეგრევე, არამედ ყოვლადვე ზემცა გუქონან გულნი, მსგავსად მღვდლისა კმისა, და ჩუენი აღთქუამაჲ, რომელსა-იგი ვიტყვთ ჩუენ: „გუაქუს უფლისა

1 წარდგომად A. 2 რნი A. 3 აღუთქუამთ A. 4 რა (?) A. 5 აღუთქუამთ A. 6 პირუტყუსა A.

მიმართ“. უკუეთუ გუაქუს უფლისა მიმართ, გუკმს-ცა<sup>1</sup> (185v) წყალობად მისი.

31. შვეიწყალნეთ ჩუენცა, რომელნი ჭირსა შინა არიან მშინერნი და წყურთილნი, უცხონი და შიშუელნი, და რომელნი სნეულებითა მდებარე არიან და საპყრობილესა შინა, და რამეთუ წმიდად ჟამისწირვად კეთილისყოფელთა აკსენებს და იტყვს: „მოიკსენენ, უფალო, ნაყოფის შემომწირველნი და კეთილისმოქმედნი წმიდათა შენთა ეკლესიანთანი და მომკსენებელნი გლახაკთანი“.

32. და ისუ ზირახ იტყვს: „ცხორებასა გლახაკისასა ნუ მოაკლებ და ჭირვეულთა შეეწიე და ნუ უკუნ-იქცევ თუაღთა შენთა მთხოველისაგან, (1) და რომელსა უნდეს შენგან სესხებად, ნუ გარე-მიიქცევი“.<sup>2</sup> (2) და უფალი იტყვს: „ავასხებდით და ნურას უსასო ჰყოფთ“, (3)

33. რამეთუ გუესმა წინამსწარმეტყუელისადა, რომელსა-იგი ღმრთისა მიმართ იტყვს: „უფალო, ვინ გემსგავსოს შენ?“ (4) და მიუგო ღმერთმან არა ხოლო წინამსწარმეტყუელსა, არამედ ყოველთა მიმართ კაცთა: „რომელმან იკსნეს გლახაკი კელთაგან ძლიერისათა, გლახაკი და დავრდომილი – მიმომტაცებელთაგან მისთა“. (5)

34. ვიხილოთ კუალად: ევედრების წინამსწარმეტყუელი ღმერთსა ქუეყანისათჳს და იტყვს: „ურნატნი<sup>3</sup> მისნი დაათრვენ, განამრავლე ნაყოფი მისი, ცუარითა შენითა მხიარულ იყოს ჯეჯლი მისი“, (6) რამეთუ იხარებს ქუეყანადა მადლითა მდიდრად მომცემელისა და სახიერისა ღმრთისადათა.

35. და კუალად წინამსწარმეტყუელი იტყვს: „და რამეთუ უფალმან მოსცეს სიტკბოებად, და ქუეყანამან ჩუენმან გამოსცეს ნაყოფი თჳსი“. (7) რამეთუ მოსცა უფალმან სიტკბოებად დაბადებთგან სოფლისადათ ყოველთა კორციელთა (186r) საზრდე-

1 გუკმს-ცა A. 2 გარე-მიიქცევი A. 3 ურნატნი A.

(1) ისუ ზირ. 4,2. (2) შდრ. მათე 5,42; II სჯ. 15,7-8. (3) ლუკა 6,35. (4) ფს. 34,10. (5) იქვე. (6) ფს. 64,11. (7) ფს. 84,13.

ლი, ვითარცა-იგი წინადასწარმეტყუელი წამებს და იტყვს: „რომელმან მოსცის საზრდელი ყოველსა კორციელსა“, (1) მოსცა კუალად სიტკბოებაჲ ჯუარსა ზედა, მსგავსად მოწყალებისა მისისა, შეუნდვნა სოფელსა ცოდვანი და „ქუეყანამან ჩუენმან გამოსცა ნაყოფი თჳსი“. (2)

36. ვითარცა მასწარებელი იტყვს, „ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსთქდეს<sup>1</sup> და მრავალნი კორცნი დაძინებულნი აღდგეს და შევიდეს წმიდად ქალაქად შემდგომად ადგომისა მისისა და გამოეცხადნეს მრავალთა“, (3) და რამეთუ უფალმან<sup>2</sup> მოსცეს სიტკბოებაჲ და ქუეყანამან ჩუენმან გამოსცეს ნაყოფი თჳსი“. (4) აღსასრულსა მას საუკუნესა, ოდეს მოვიდეს ზეცით ვითარცა ელვაჲ საშინელი და მიაგებდეს თითოეულსა საქმეთა მათთაებრ. მაშინ მოსცეს ქუეყანამან ჩუენმან ნაყოფი თჳსი; ყოველთა კაცთა<sup>3</sup> მშვნვიერთა ადგომაჲ მაშინ იხილონ.

37. და მღდელი იტყვს „ძღვევისა გალობასა“, რადთა ღმრთისა მიერთთა მადლითა დაცვულთა სამებისა წმიდისა გალობაჲ ღმრთისა შეეწიროთ, ვხადოდით და ვევედრებოდით, რადთა მიკსნნეს<sup>4</sup> ჩუენ ღმრთმან ყოვლისაგან ცოდვისა და საქმე-თაგან ეშმაკისათა.

38. რომელთა ცოდვათაგან? – მკლველობისა, მრუშებისა, პარვისა, სიძვისა, ტყუვილისა, ძურისზრახვისა და ვახშისაგან.

39. და რასა იტყვს ღმერთი შეცოდებულთათჳს? – მკლველისათჳს იტყვს: „კაცთა მოსისხლეთა და მზაკუვართა ნუ განუზოგნე დღენი მათნი“. (5)

40. და მრუშებისათჳს იტყვს: „ვიხილოთ, ვითარ ამცნებს მოსე: არა იმრუშო“, (6)

41. და პარვისათჳს იტყვს ღმერთი (186v) ზაქარიაჲს მიმართ წინადასწარმეტყუელისა: „რასა შენ ხედავ ჰაერთა ზედა?“ (7)

1 გწთქდეს A. 2 ოწ A. 3 კწთა A. 4 მიკსნეს A.

(1) ფს. 135,25. (2) ფს. 66,7. (3) მათე 27,51-53. (4) ფს. 84,13. (5) ფს. 54,24. (6) შდრ. მათე 5,27. (7) ზაქ. 5,2.

42. და აღიხილნა ზაქარია ჰაერთა და მიუგო და ჰრქუა: „ვხედავ მანგალსა მფრინვალესა ჰაერთა შინა. სივრძე მისი წყრთაჲ ოცი და სივრცე მისი წყრთაჲ ექუსი“. (1) და ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან: „რაჲ არს ესე?“ და ჰრქუა ზაქარია: „არა უწყი“.

43. ხოლო ანგელოზმან მან უფლისამან ჰრქუა ზაქარიას წინაღმწარმეტყუელსა: „ესე იგი მანგალი არს, რომელი შევალს მპარვისა სახლსა და ცილისმფუცავისასა და მოსრას ცხორებაჲ მათი და დაამკუნეს ქვანიცა<sup>1</sup> სახლთა მათთანი“. (2)

44. ხოლო მტყუვართათჳს ვისმინოთ წინაღმწარმეტყუელისა დავითისი, რასა-იგი ღმრთისა მიმართ იტყვს: „უფალო, მოიძულენ ყოველნი მოქმედნი ურჩულოებისანი, წარსწყმიდენ შენ ყოველნი, რომელნი იტყვან სიცრუევსა, კაცი მოსისხლე და მზაკუვარი სძავს უფალსა“. (3)

45. და სოლომონ ევედრების ღმერთსა და იტყვს: „უფალო, ამოჲ სიტყუაჲ და ტყუვილი შორს ყავ ჩემგან“. (4) და კუალად მისა შემდგომად სოლომონვე იტყვს: „არა არს პირსა ჩემსა სიტყუაჲ ამოჲ ტყუვილისაჲ, არცა გულარძნილებაჲ“. (5)

46. ხოლო სიძვისათჳს მოვიდოთ კუალად, სოლომონ რასა იტყვს: „განეკრძალე ბოროტსა დედაკაცსა, რამეთუ თაფლი გარდამოსდინ ბაგეთა დედაკაცისა მეძვისათა, რომელმან წუთსა ჟამსა განაპოხოს კორკი შენი, ხოლო უკუანაღსკნელ უმწარეს ნავლისა ჰპოო და აღლესული უფროჲს მახვლისა ორპირისა“. (6)

47. ხოლო ძჳრისზრახვისათჳს გუესმა დავითის (187r) წინაღმწარმეტყუელისა თქუძული: „რომელი იტყოდა მოყუსისა თჳსისათჳს ძჳრსა, იგი გარემსგარე ვდევნე“. (7)

48. არა ხოლო თუ თავისა თჳსისათჳს იტყოდა წინაღმწარმეტყუელი განდევნასა ძჳრისმეტყუელთასა, არამედ [უფლ]ი-

---

<sup>1</sup> ქვანიცა A.

(1) ზაქ. 5,2. (2) ზაქ. 5,4. (3) ფს. 5,6-7. (4) ივაკ. 30,8. (5) ივაკ. 8,8. (6) ივაკ. 5,3-4. (7) შდრ. ფს. 100,5.

სათუსცა<sup>1</sup> წინაღსწარმეტყუელა, ვითარცა-იგი სხუასა ადგილსა იტყვს: „დაეცნენ იგინი ზრახვათა მათთაგან დიდძალითა<sup>2</sup> უღმრთოებისა მათისადათ. განიშორენ შენ იგინი, რამეთუ გაგამწარეს შენ, უფალი“. (1) ოდეს ესმეს მართალი იგი კმაჲ მსაჯულისაჲ ცოდვილთა, ვითარმედ: „არა გიცნი თქუენ, წარვედით ჩემგან“. (2)

49. ხოლო ვახშისათუს და მევახშეთა წინაღსწარმეტყუელა დავით და იტყოდა ღმრთისა მიმართ: „უფალო, ვინ დაემუნოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვდროს მთასა წმიდასა შენსა?“ (3)

50. და მიუგო ღმერთმან წინაღსწარმეტყუელსა და ჰრქუა: „რომელი ვიდოდის უბიწოდ, იქმოდის სიმართლესა და იტყოდის<sup>3</sup> ჭეშმარიტსა გულსა თუსსა“, (4) და შემდგომი. და კუალად იტყვს: „ვეცხლი მისი მან არა მისცეს აღნადგინებად და ქრთამი უბრალოსა ზედა მან არა მოილოს. რომელმან ყოს ესე, იგი არა იძრას უკუნისამდე“. (5)

51. და კუალად იტყვს დავით: „დაანთქენ<sup>4</sup> იგინი, უფალო, და მიმოდაყვენ ენანი მათნი, რამეთუ ვიხილე მე ურჩულოებაჲ და კლომაჲ ქალაქსა შინა. დღე და ღამე გარე-მოადგა ზღუდეთა მათთა ურჩულოებაჲ, უკეთურებაჲ და ცოდვაჲ შორის მათსა. არა მოაკლდა უბნებსა მათსა აღნადგინები და ზაკუვაჲ“. (6)

52. და სხუასა ადგილსა იტყვს გარდამოსლვისათუს ქრისტსისსა: „გარდამოკდეს ვითარცა წჳჲმაჲ (187v) საწმისსა ზედა, და ვითარცა ცუარი რაჲ ცურინ ქუეყანასა ზედა“. (7)

53. და კუალად: „მოდრიკნა ცანი და გარდამოკდა, ნისლი ქუეშე ფერკთა მისთა“. (8) და რამეთუ გარდამოვიდა ქრისტე კსნად ჩუენდა ყოვლისაგან სიცრუვისა, ვითარცა-იგი კუალად აღნადგინებისათუს იტყვს: „აღნადგინებისაგან და სიცრუვისა იქსნენ სულნი მათნი და დიდებულ იყოს სახელი მისი მათ წინაშე“. (9)

1 დწითუსცა (?) A. 2 დიდძალისა A. 3 ეტყოდის A. 4 დანთქენ A.

(1) ფს. 5,11. (2) მათე 7,23. შდრ. მათე 25,12; ლუკა 13,27. (3) ფს. 14,1. (4) ფს. 14,2-3. (5) ფს. 14,5. (6) ფს. 54,10-12. (7) ფს. 71,6. (8) ფს. 17,10. (9) ფს. 71,14.

54. და აღნადგინებისათჳს არავე დავსცხერით, არამედ ვემს-გავსებით თევზთა უბურველთა და უტყუთა, რომელთა-იგი მღ-ირღველი ნახიან, ესე იგი არს საზრდელი, ხოლო სამჭედურსა, რომელი-იგი დაფარულ არნ მღირღველსა შინა, არა ხედვენ და და-ფარულითა მით სამჭედურითა მონადირებიედ სიკუდილად. ეგრეთ-ცა ჩუენ აღნადგინებისა სარგებელსა ვხედავთ, და ცოდ-ვასა, რომე-ლი-იგი აღნადგინებსა მას შინა დაფარულ არს, არა ვსცნობთ.

55. და კუალად, მოსეს ამცნო ღმერთმან და ჰრქუა ლევ-იტელთა თავსა ას და ცხრამეტსა: „უკუეთუ დაგლახაკნეს ძმაჲ შენი და უძღურ იყოს კელითა თჳსითა, გვეედროს შენ შეწევნად მისა, ყავ მის თანა თხოვად მისი და ცხონდეს ძმაჲ იგი შენი შენ თანა. არა გარე-მიიქციო გული შენი მისგან და ნუცა შეიჭირავ კელთა შენთა ძმისა შენისაგან.“

56. რომელი გთხოვდეს, განღებით განუღე კელი შენი მას და სესხი ასესხო მას, რავდენსაცა გთხოვდეს შენ, ვითარცა-იგი აკლდეს. არა განბოროტნეს თუალი შენი ძმასა ზედა შენსა, რომელი გთხოვდეს შენ, და თუ (188f) არა მისცე შენ მას და კმა-ყოს შენთჳს უფლისა მიმართ და იყოს შენდა ცოდვა დიდ, მიცემით მისცე მას და სესხი ავასხო მას, რავდენიცა გთხოოს შენ. არა მოილო აღნადგინები ძმისა შენისაგან, აღნადგინები ვეცხ-ლისაჲ და აღნადგინები საჭმელთაჲ და აღნადგინები ყოვლისავე საქმისაჲ, არცა ვითარსა კაცსა ავასხო ძმასა შენსა, რადთა გაკუროთხოოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან“. (1)

57. ამას მაშინ ეტყოდა ღმერთი მოსეს, ხოლო უკუანაჲ-სკნელთა დღეთა, ვითარცა მოციქულმან პავლე თქუა, „მოავლინა ძმ თჳსი და იშვა დედაკაცისაგან, (2) რომლისათჳსცა წინაჲს-წარმეტყუელნი პირველ მრავალთა წელთა წინაჲსწარმეტყუელბ-დეს და იტყოდეს, მოავლინა სიტყუაჲ მისი და განკურნნა და იკსნნა<sup>1</sup> ივინი განხრწნისაგან მათისა და ამისთჳს მოვიდა, იშვა დედაკაცისაგან რჩულსა ქუეშე.“

1 იკსნა A. (1) შდრ. ლევიტ. 25,35-37. ეზეკ. 18,8. (2) გალატ. 4,4.

58. ხოლო მო-რად-ვიდა, არავის ექადოდა, არა შეჰრისხნა, არამედ მოვიდა, ჰლოცვიდა, ასწავებდა, ნუგეშინის-სცემდა, მოსესითგან და ყოველთა წინაღსწარმეტყუელთა გამოგვთარგმანებდა ჩუენ ყოველთა წერილთა თავისა თვისსათუს. (1) და სხუასა ადგილსა იტყვს მაცხოვარი: „არა მოვედ დაქსნად შჯულისა და წინაღსწარმეტყუელთა, არამედ აღსრულებად“. (2)

59. და რად აკლდა რჩულსა? აქუნდა ღმრთისა მცნებაჲ, სამართალი მიგებაჲ; კბილი კბილისა წილ, თუალი თუალისა წილ, კელი კელისა წილ, ფერკი ფერკისა წილ და მსგავსი მსგავსისა წილ მიგებაჲ, (3)

60. ხოლო თავადი ქალწულისაგან (188v) აღმობრწყინდა, ქუეყანასა ზედა გამოჩნდა, კაცთა შორის იქცეოდა, ასწავა მოწაფეთა სიტკბოებით და სიმშუდით, ამცნო პეტრეს შენდობაჲ, ვითარცა-იგი პეტრე ჰკითხა: „უფალო, რავდენგზის, უკუეთუ შემცლოლს ძმამან ჩემმან?“ და მიუგო უფალმან და ჰრქუა მას: „არა გეტყვ შენ შუღგზის, არამედ სამეოცდაათ შუღგზის“. (4)

61. და კუალად, სხუასა ადგილსა იტყვს: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ, რამეთუ მშუღ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთა“. (5)

62. და სხუასა ადგილსა იტყვს განსუენებისათუს:<sup>1</sup> „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიძენი, და მე განგისუენო<sup>2</sup> თქუენ სასუფეველსა შინა ცათასა“. (6) ესე მასწავა ჩუენ მაცხოვარმან შენდობისათუს და სიმდაბლისათუს და ფერკთა ბანისა და არდაგისა იგი მიზეზი, არა ხოლო, რამეთუ დაჰბანნა ფერკნი მოწაფეთა, არამედ წარჰკოცნა-ცა არდაგითა ფერკნი მათნი. (7)

63. და სხუად სივლახაკჲ უამპარტაოდ საქმით მასწავა ჩუენ, რამეთუ არა დაჯდა ზედა ცხენსა, არამედ კარაულსა, ვითარცა-იგი ზაქარია წინაღსწარმეტყუელა და თქუა: „ნუ გეშინინ, ასუ-

1 გ~სუენებისათუს A. 2 გ~ვისუენო A.

(1) შდრ. ლუკა 24, 27. (2) მათე. 5, 17. (3) გამოსლვ. 21, 24-25; ლევ. 24, 20; II შჯ. 19, 21. (4) მათე 18,22. (5) მათე 11, 29. (6) მათე 11, 28. (7) იოვანე 13,5.



ლო სიონისაო, აჰა მეუფე შენი მოვალს მჯდომარე კარაულსა ზედა“. (1) და ამისთვის დაჯდა კიცუსა ზედა, რამათა ვხედვიდეთ, და ვითარცა-იგი მიჩუენა ჩუენ, ვჰყოფდეთ.

64. მღვდელნი მივემსგავსნეთ მღვდელსა მას ქრისტესა, და, ვითარცა იგი ვიდოდა, ჩუენცა მსგავსად ვიდოდით, რამეთუ იგი თავადი ღმერთ არს და კაც იქმნა. (189r) ხოლო ოდეს საკურველებათა იქმოდა, აჩუენებდა ღმრთეებისა საიდუმლოსა, და ოდეს იქმოდა სიგლახაკისასა, მიჩუენებდა ჩუენ სიგლახაკესა და სიმდაბლესა კაცებისასა. არა ვიტყვ სიგლახაკესა ცხორებისასა, არცა სიმდაბლესა სიმდიდრისასა, არამედ სიგლახაკესა სულისასა და სიმდაბლესა გულისასა, რომელ არა მიაგოს ბოროტი ბოროტისა წილ,

65. რამეთუ, უკუეთუ მოიგონო მიგებად ბოროტი, მესამედი ცოდვად ჰქმენ; ხოლო უკუეთუ სთქუა ქადებით მიგებად ბოროტი, სიტყვსა მიერ შენისა ჰქმენ ორი ნაწილი ცოდვისაჲ; და უკუეთუ მიაგო ბოროტი, აღასრულე ცოდვად.

66. რაჲ არს უფროჲს ნერწყვისა, ყურიმლისცემისა, სამშჳუალთა, ლახურისა? – ყოველი ესე დაითმინა უფალმან და ყოველთა ასწავებდა სიტკბოებით, უმეტეს ხოლო მღვდელთა და მღვდელთმოდუართა, რამათა იყენენ ტკბილ, მშუდ, მყუდრო, მსწავლელ, ნუ მრისხანე, ნუ აღშფოთებულ, არამედ ყოველსა მოთმინე დრტუნვასა ერისასა, შფოთსა, ურჩებასა,

67. არამედ ჯერ-არს მღვდელისა ყოველთაგან წერილთა სწავლად ერისა, რამეთუ მოაღბობს წერილი კაცთა უფროჲს ზეთისა და მხიარულ ჰყოფს უფროჲს ღვინისა. (2) რაჲ არს ქვისა უფიცხლეს და რაჲ არს წყლისა უღბილეს, ხოლო ზედაჲსზედა დაცემამან წყლისამან განკურიტის<sup>1</sup> ქვაჲ. ეგრეცა მღვდელი სწავლითა წერილთაჲთა ერსა; მოაღბობს გულსა კაცთასა და მხიარულ (v) ჰყოფს უფროჲს ღვინისა, რამეთუ არა მხიარულ ჰყოფს წერილი<sup>2</sup> მუცელსა, არამედ გულსა. (3)

1 გ კურიტის A. 2 წერი A.

(1) ზაქ. 9,9. (2) შდრ. ფს. 103,15. (3) შდრ. ფს. 103,15.



68. და არა ჯერ-არს მღვდელთმოდურისა გინა მღვდელისა დაცადებად სწავლაჲ ერისა თვისისაჲ. და ამას ჰყოფდინ სიმშუ-  
დით და გულისკმისყოფით, და ნუ აღძრვისა სიტყუასა მიუგებს  
ერსა, რამეთუ ვითარცა ვინ შთააგდის ლოდი წყაროსა წმიდასა  
და აღამრღვის იგი, ეგრეთვე სიტყუაჲ რისხვითი არა ხოლო თუ  
სულმცირეთა განაბოროტებს, არამედ სულდიდთაცა აღსძრავს;

69. ხოლო სიტყუაჲ გულისკმიერი დაალობს ძუალთა, და  
ამისთვის სიმშუდით და გულისკმიერობით შეუგავს სწავლაჲ თი-  
თოეულსა მღვდელსა თვისისა ერისაჲ, და ნუ შეავინებს წმიდასა  
მას მღვდლობისა წესსა განმწარებითა, ამპარტავანებითა და სი-  
ლაღითა შენითა, არამედ ვითარცა მკურნალმან კელოვანმან, გან-  
იკურნე თავი შენი პირველად, (1) და მაშინ შეუძლო წინააღმდეგომთა  
შენთა მხილებად, და რომელნი გამხილებდენ შენ, – პირის დაყ-  
ოფად.

70. და ლოცვასა იტყოდე წინაღსწარმეტყუელისა თანა: „უფა-  
ლო, ნებითა შენითა ეც სიკეთესა ჩემსა ძალი“. (2) სიკეთესა  
სულისასა, არა პირისა კორციელისასა, არამედ შინაგანსა და  
არა-გარეშესა.

71. მითხარ-ლა მე, ძმაო ჩემო საყუარელო, ოდეს სადა ბრძანა  
ღმერთმან გამოშორებაჲ მღვდელისაჲ და დიაკონთაჲ ერისაგან,  
მთასა ზელა სინასა, ოდეს შეიყვანა მოსე და აჰრონ შორის  
ღრუბელსა, სახედ მღვდლობისა, (190r) ხოლო ისუ ნავეს ძეს<sup>1</sup>  
და ორსახედ დიაკონთა, ხოლო სხუასა<sup>2</sup> ერსა უბრძანა ღმერთმან  
არა შეხებად მთასა, არცა მიახლებად ღრუბელსა, არცა კაცი,  
არცა პირუტყვ. (3) ხოლო პირუტყუთა ნუ პირუტყუთა ოდენ  
ჰკონებ, არამედ კაცთაცა უგულისკმითა იტყვს.

72. იხილე და განიგონე ერთისა კაცისა, გინა ორისა, გინა  
ათისა, გინა ასისა, გინა ათასთაგან, გინა ბევრთა კაცთაგან,  
ვითარ გამოეშორები და შეხუალ საკურთხეველად<sup>3</sup> და წარს-  
დგები წინაშე წმიდასა ტრაპეზსა, და სდგა წინაშე შესაძრ-

1 ნავეს ძეს ] ნავე A. 2 სუასა A. 3 საკურთხეველად A.

(1) შდრ. ლუკა 4,23. (2) შდრ. ფს. 29,8. (3) შდრ. გამოსლ. 19:12-13, 21-

წუნებელსა მას დალიჭსა, და შესწირავ ვედრებასა თავისა თჳსისათჳს და ერისა უმეცრებისათჳს. (1)

73. იხილე, ძმაო ჩემო საყუარელო, ვითარსა დიდებასა ღირს იქმენ, ვითარ-იგი ადამ ოდესმე, და ამცნო მას ღმერთმან დაცვაჲ სამოთხისაჲ და ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ნაყოფისა ჭამაჲ, ხოლო ხისა მისგან, რომელ არს შორის სამოთხისა, მისგან ხოლო არა ჭამად. (2)

74. და გარდაჰკდა მცნებასა დამბადებელისა თჳსისასა და ჭამა ხისა მისგანი და მეყსეულად ცნა თავით თჳსით, რამეთუ განეძარცუა ღმრთივ მოქსოვილი სამკაული და შეიმოსა ფურცელი ლელჳსაჲ. (3)

75. და ესმა კმაჲ ღმრთისაჲ, ვიდოდა რაჲ სამოთხესა შინა და დაიძალა. და ჰრქუა მას ღმერთმან: ადამ, სადა ხარ? (4)

76. ნუჟკუე ვითარცა უმეცარი იტყოდა ღმერთი – „ადამ, სადა ხარ“? და ვითარმცა არა უწყოდა, არამედ ჰრქუა მას: „სადა ხარ“, თუ ვითარისა დიდებისაგან – არა-დიდებულებასა, და ვითარისა პატივისაგან – უპატიობასა. (190v)

77. ამისთჳს ეტყოდა „სადა ხარ“, რამეთუ სიმაღლისაგან შთაჰკედ სიღრმესა, და რამეთუ შეიმოსა ფურცელი ლელჳსაჲ ამისთჳს, რამეთუ სიგლახაკე არს მქისე და მწარე.

78. და გამო-რაჲ-ვარდა სამოთხით, სიმქისე რაჲმე შეემთხუა<sup>1</sup> მას და სიმწარე მრავალი და სიგლახაკე. სიტყჳსგებასა ურჩ ექმნა და ვერ შეუძლო სიტყჳს-მიგებად, და მოაკლდა დიდებისაგან ღმრთისაჲსა, და იქმნა უმკუდრო სამოთხით და განგდებულ ყოველთაგან კეთილთა.

79. იხილე შენცა, მღელლო, ნუსადა ამპარტავანებითა და სილაღითა შენითა ინებო სმენად, თუ „არა გიცნი თქუენ“, და განჰვარდე<sup>2</sup> საუკუნეთაგან კეთილთა და მიემსგავსო მუშაკთა მათ ურჩულოებისათა. (5)

---

1 შეემთხუა A. 2 გჰვარდე A.

(1) შდრ. ებრ. 9,7. (2) შდრ. დაბ. 2,16-17. (3) შდრ. დაბ. 3,6-7. (4) დაბ. 3,9. (5) მათე 7,23; 25,12; ლუკა 13,25.

80. გლოცავ თქვენცა, რჩულისმწერალნო, ვითარ-იგი ჩჩულთა ასწავებთ გულისწყრომით, სცემთ და არა შეუნდობთ მათ ერთისაცა ხოლო ასოდას უმეცრებასა. და ვითარ თქვენ, გარეშე მშუღნი, მღუმარნი, მსწავლელნი, ხოლო შინაგან სავსე ხართ სიბოროტითა, შურითა, ტყუვილითა, ამბოხებითა, გულარძნილებითა!

81. და რაა სარგებელ არს მოშურნისა? – რომელსა-იგი ეშურების, იგი იშუებს, და მოშურნე დადნების; რომელსა ეშურების, იგი ყუავის, და მოშურნე დაჭნების!

82. რაა არს უფროდს იოსებისსა? – ეშურებოდეს მას ძმანი იგი მისნი, რაათამცა მოკლეს იგი, (1) არამედ ღმერთმან, რომელსა-იგი ეშურებოდეს, მეფედ ეგვპტისად შექმნა, (2) და მოშურნენი იგი მიზეზითა სიყმილისადათა ეგვპტედ (191r) წარასხნა, და რომელთა-იგი განყიდეს,<sup>1</sup> განსყიდულსა<sup>2</sup> მას პურისათჳს ევედრებოდეს. (3)

83. ხოლო მოვიდეთ დანიელისთჳსცა ბაბილონს; რავდენნი ეშურებოდეს; ჯურღმულსა ლომთასა შთაგდებაჲ მისი ყვეს. და რომელსა-იგი ეშურებოდეს, პირისაგან<sup>3</sup> ლომთადასა განერა და მოშურნენი იგი მათვე ლომთაგან<sup>4</sup> შეჭმულ იქმნეს. (4)

84. მოვიდეთ სიმშუღესაცა დავითისსა, ვითარ განერა სიბოროტისაგან<sup>5</sup> და შურისა საულ მეფისადასა, ვითარ შევიდეს ერთსა ქუაბსა შინა ორნივე. ერთი იგი, ღვეწული, შევიდა ქუაბსა უშინაგანესსა, ხოლო მეფე, რომელი-იგი სდეგდა, შევიდა ქუაბსა და დაადგრა კარსა თანა, ხოლო გამოვიდა ღვეწული იგი დავით მღევარსა მას თანა მეფესა, და მოჰკუეთა შუდეცი სამოსლისა სამეუფოდასა და ფაკოჲ საწყლჴს, და დაადგა მახული მისი მახლობელად გუერდსა მეფისასა ღამე, და არა ცნა მეფემან, არცა მცველთა, და იქმნა უძიდრე სიმშუღე დავითისი უფროდს სიბოროტესა<sup>6</sup> საულისსა. (5)

1 გ~ყიდეს A. 2 გ~სყიდულსა A. 3 პირისაგ~ A. 4 ლომთაგ~ A. 5 სიბოროტისაგ~ A. 6 სიბოროტესსა A.

(1) დაბ. 37,11-20. (2) დაბ. 40,1 - 41,14. (3) დაბ. 42,1-6. (4) დაბ. 6,16-24. (5) I მეფ. 24,3-8.

85. ვიხილოთ სიგლახაკე შურისაჲ, ვივლტოდით მისგან,<sup>1</sup> რაათა არა მოვიდეს ჩუენ ზელა ვაებაჲ იგი, ვითარცა-იგი ესმა მაშინ მწიგნობართა მათ, რამეთუ აყუედრებდა მათ მაცხოვარი და ეტყოდა: „ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო“, (1) და შემდგომი. და ამისა შემდგომად იტყვს: „ვაჲ თქუენდა, რჩულისმოდლუარნო“.

86. აღვიდეთ (191v) კუალად წინამდებარესა მას მითხრობასა წმიდისა ჟამისწირვისასა. რამეთუ ჟამისწირვაჲ მსგავს არს ვენაკსა უფლისასა, რამეთუ ვენაკი არს ღმრთისმეტყნიერებაჲ, დუმილი, სიმშუღს, სიმართლს, მშუღობაჲ.

87. ხოლო მუშაკნი პირველისა ჟამისანი არიან: აბელ, ენუქ, ნოვე, ხოლო მესამისა ჟამისანი არიან: აბრაჰამ, ისაკ და იაკობ; ხოლო მეექუსისა ჟამისანი – მოსე და აჰრონ და ისუ ნავესი, გედეონ და სხუანი იგი.

88. და მეცხრისა ჟამისა მუშაკნი არიან: ოსე,<sup>2</sup> ამოს, აბდია,<sup>3</sup> ამბაკუმ, ელია, სოფონია, დანიელ, ზაქარია, ანგეოს, მალაქია და სხუანი იგი წინადასწარმეტყუელნი. ხოლო მეთერთმეტისა ჟამისაჲ არს ავაზაკი, რომლისათჳსცა პირველად შევიდა სამოთხედ, (2) და ამისა შემდგომად – სხუანი იგი, რომლისათჳს დრტჳნიდეს, რომელთა პირველ ღმრთისმეტყნიერებაჲ აქუნდა. (3)

89. ეგრევე მსგავსად, ეკლესიაჲ ვენაკი არს, და პირველი ისა ჟამისა მუშაკნი არიან, რომელთა-იგი რეკაჲ რაჲ ესმეს და მირბიან ეკლესიად; ხოლო მესამისა ჟამისანი არიან, რომელნი წმიდაო ღმერთისა მიიწინენ; და მეექუსისა ჟამისანი – რომელნი სახარებასა მიეწიფენ და სიწმიდესა;\* ხოლო მეცხრისა ჟამისა მუშაკნი – რომელნი პირველ დაქმვისა კართა ეკლესიისათა იპოვნენ ჟამისწირვასა; ხოლო მეთერთმეტისა ჟამისა მუშაკნი არი-

---

\* „სიწმიდე“ ანუ „სიწმიდისაჲ“ – ჟამისწირვის საგალობელი, რომელიც სრულდება საკურთხეველში სიწმიდის (სეფე-ზედაშის) შესვენებისას.

1 მისგ ~ A. 2 ოსიე A. 3 აბდიე A.

(1) მათე 23,13-39. (2) ლუკა 23, 39-43. (3) მათე 20, 8-12.

ან, რომელნი შემდგომად განხუმისა კართაძსა შევლენ ეკლესიად.

90. კუალად სსუანი მუშაკ(191r)ნი არიან პირველისა ჟამისანი, რომელთა-იგი სიყრმითგან<sup>1</sup> ღმრთისმეცნიერებად აქუს; ხოლო მესამისა ჟამისანი არიან, რომელნი ოცისა წლისა ჟამითგან<sup>2</sup> სიმართლით იქცევან; და მეექუსისა ჟამისანი არიან, რომელნი ორმოცით წლითგან მოიქცევან;

91. ხოლო მეცხრისა ჟამისა მუშაკნი არიან, რომელნი შემდგომად სამოციისა წლისა შეინანებენ ცოდვითა მათთათუს; და მეათერთმეტისა ჟამისა მუშაკნი არიან, რომელნი-იგი სიბერესა შეინანებენ შეცოდებათა მათთათუს გალობითა (გალობად რად არს? – ლოცვად სულთქუმიითა და ცრემლითა), და განმართლდებიან წინანი და უკუანანი, რამეთუ წერილ არს: „დასაბამი სიბრძნისად არს შიში უფლისად“. (1)

92. რომელთა შიში ღმრთისად აქუნდეს, ცხონდენ, ხოლო რომელნი უღებ-ჰყოფენ ეკლესიასა შინა ღმრთისასა საიდუმლოთა, ისმინეთ, რასა-იგი ღმერთი წინადაწარმეტყუელისა მიერ იტყვს: „სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქვენ ჰყავთ იგი ქუბ ავაზაკთა“. (2)

93. და კუალად, რომელნი-იგი შევლენ ეკლესიად შემდგომად განხუმისა კართაძსა, ილოცვენ და ზრუნვენ, რომელი-იგი წარწყმიდეს ჟამი, რომელთა-იგი სინანული აქუნდეს, მიიღებენ სასყიდელსა სწორად პირველთასა. ხოლო რომელნი-იგი დაყვნდებიან უღებებით, ისმინეთ, რასა იტყვს წინადაწარმეტყუელი: „რომელმან უღებ-ყოს საქმს, განიხრწნეს მის მიერ“.

94. რამეთუ მრავალ არიან, ვითარ-იგი პირველ ვთქუ,<sup>3</sup> რომელნი განტევებასა<sup>4</sup> შფოთისასა (v) შევლენ ეკლესიად და ილოცვედ ყოვლითა გულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა სულითა (3) სინანულით (ხოლო სინანული არს ცრემლნი,

1 სიყრმიოგ~ A. 2 ჟამითგ~ A. 3 თქუ A. 4 გტევებასა A.

(1) ივანე 1,7; ფს. 110,10. (2) ეს. 56,7. შდრ. მათე 21, 13; მარკ. 11, 17; ლუკა 19, 46. (3) შდრ. ლუკა 10, 27; მათე 22, 37; მარკ. 12, 30-33.

და აღესრულების სწორად პირველთადას<sup>1</sup>).

95. და სხუანი შევლენ განხუმასა კართასა და არა აქუს ზრუნვად დაყოვნებისათჳს, არამედ უფროდსა ზრახვენ, მიეყრდნებიან<sup>2</sup> (და ვიეთდა მიცემულ არს მიყრდნობად და დასხდომად? – მოხუცებულთა, უძლურთა, და რომელნი სნეულ იყვნენ! ხოლო რომელნი ცოცხალ იყვნენ და მიეყრდნებოდნან, მსგავს არიან, რომელნი აძობენ ზროხათა გინა სამწყსოსა და მიეყრდნებიან არგანსა და ხედვენ პირუტყუთა), და შემდგომად დაყოვნებისა, დაპრთიან სხუადცა ცოდვად უღებებითა, და იქმნეს ორი ცოდვად.

96. განვიცადნეთ მთავართა იგი მსახურნი, ვითარ არიან ვითარცა ძელი და ვითარცა სუეტნი ქვისანი, ვითარცა უკორცონი, ვითარცა უსულონი და წარუძმართველნი ღგანან მთავართა წინაშე, რადთა სათნო-ეყვნენ კაცთა, რომელნი-იგი დღეს არიან და ხვალე არა არიან! და ჩუენ ქრისტჳს<sup>3</sup> წინაშე ვდგათ, და უგულებელს-ვჰყოფთ უკუდავსა და შესაძრწუნებელსა მეუფესა!

97. და სხუასა არას აქუს გონებად, გარნა ზიარებასა მიხედვენ და ისწრაფიან განსლვად, ვითარცა ფარულად მკებნარი ძალი იპარვინ, წმიდისა მის ძლუნი(193r)სა სიპატიოსნესა.

98. რამეთუ ოდეს შეხუალ წმიდასა ღმრთისა ეკლესიასა, მრავალმეტყუელებისა და ზრახვისა შენისაგან<sup>4</sup> განჰლევ სხუათაცა მათ მსახურებისა ჟამთა. არა ისმენ საღმრთოთა სიტყუათა და სამართალთა, და არცა ერთსა რას ისწავლი, რამეთუ არა გსურის ჟამისწირვისა, არამედ საზრახვისა, რამეთუ ეშმაკი თესვასა კეთილისა მის თესლისასა შესთესავს ღუარძლსა და ეკალსა და კუროდსთავსა. (1)

99. ამისთჳს უგულებელს-ჰყოფთ სახლსა ღმრთისასა, ვითარცა-იგი უფალი საზარებასა შინა იტყუვს:

„აღიღეთ ესე ამიერ და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა

---

1 პირველთასა A. 2 მიეყრდნებიან A. 3 ქწს A. 4 შწსაჲ A.

(1) იხ. მათე 13: 24-30, 37-42.

სახლ სავაჭრო“ (1) და ესაიადს მიერ იტყვს ღმერთი:<sup>1</sup> „სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა“ (2) უდბობითა, ზრახვითა, შფოთითა, ამბოხებითა, არამედ ძრწოლით ჯერ-არს ღვთამა წინაშე ღმერთისა ჟამისწირვასა.

100. ისმენდით საღმრთოთა წერილთა, წმიდათა მათ სიტყუათა თქუმულთა და გალობასა და თანააღმოკითხულსა, რად-თა ღირს ვიქმნეთ შეწყნარებად წმიდასა კორცსა და სისხლსა ქრისტესსა,<sup>2</sup> რომლისაჲ არს ღიდებაჲ და ძლიერებაჲ უკუნიითი-უკუნისამდე, ამენ.

1 უფალი (?) A. 2 ქწსა A.

(1) იოვანე 2,16. შდრ. მათე 21,13; მარკ. 11, 17; ლუკა 19,46.

(2) შდრ. ეს. 56,7.